



DOI: <https://doi.org/10.59172/2667-9876/2023-2/54-64>

ხონტექსტის მნიშვნელობა განცხადების ცილისმწამებლურად ავალიფიკაციისას

სერგი ჯორბენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ადვოკატი, მედიატორი.

რეზიუმე: ცილისწამების თაობაზე სამართლებრივი დავები ყოველთვის განსაკუთრებული ინდივიდუალიზმით ხასიათდება. აღნიშნული გამოიხატება იმ გარემოებით, რომ ერთი შეხედვით ორი ანალოგიური შინაარსის მქონე დავა (გარემოებების გათვალისწინებით), შესაძლებელია, განსხვავებული შედეგებით დასრულდეს. ამის მიზეზს კი წარმოადგენს კონტექსტის გააზრება. სწორედ კონტექსტი გახლავთ ის მთავარი კრიტერიუმი, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება განცხადება ცილისმწამებლურად იქნეს მიჩნეული, ან პირიქით, იმავე განცხადებისთვის პირს არ შეეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. სწორედ ამიტომ, განცხადების ცილისმწამებლურად კვალიფიკაციისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა კონტექსტის სათანადოდ გათვალისწინებას ენიჭება. მოცემული შეხედულება წარმოადგენს პრაქტიკაში დამკვიდრებულ ხედვას. ამდენად, კონტექსტის საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს), ისე ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკის კრილში. მითუმეტეს, ცილისწამების დავებისას კანონი სასამართლოს ავალდებულებს, დასახელებულ საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას დაეყრდნოს.

საკვანძო სიტყვები: ცილისწამება, კონტექსტი, გამოხატვის თავისუფლება.

წინათქმა

ცილისწამება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის იმ ერთ-ერთ სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომლის განხილვის დროს სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღება მართებს, რათა არ დაარღვიოს ბალანსი დემოკრატიულ საზოგადოებაში¹: სასამართლოს გადაწყვეტილებას არ უნდა ჰქონდეს

1. აღნიშნულზე მსჯელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე „ბლადეტ ტრომსო და სტენსაასი ნორვეგიის წინააღმდეგ“ (Bladet Tromsø and Stensaas v. Norway, 20.05.1999, №21980/93); ასევე, „პენტიკაინენი ფინეთის წინააღმდეგ“ (Pentikäinen v. Finland, 20.10.2015, №11882/10).

„მსუსხავი ეფექტი“² და არ უნდა დაადგინოს პრაქტიკა, რომელსაც მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება³. ამისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ შეისწავლოს კონტექსტი, რაც წინ უსწრებს ან თან სდევს სადავო განცხადებას და მხოლოდ აღნიშნულზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება ცილისწამების არსებობა-არარსებობის თაობაზე⁴. სასამართლო პრაქტიკის მრავალფეროვნება მკაფიოდ წარმოაჩენს კონტექსტის დანიშნულებასა და კრიტერიუმებს, რომელიც ცილისწამების დავების დროს მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო სტანდარტი უნდა გახდეს.

1. განცხადების ცილისმწამებლურად შეფასების ფორმალური საფუძვლები

იმისათვის, რომ განცხადება შეფასდეს ცილისმწამებლურად, მნიშვნელოვანია სამი უმთავრესი ასპექტის დადგენა: ა) განცხადების გავრცელების არეალის განსაზღვრა; ბ) განცხადების შინაარსის გააზრება და გ) ადრესატის იდენტიფიცირება.

1.1. განცხადების გავრცელების არეალი

განცხადების გავრცელების არეალის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განცხადების ცილისმწამებლურად მიჩნევისთვის⁵. მაგალითად, სამსახურებრივი საქმიანობის მიზნით მომზადებული დოკუმენტის შინაარსი არ მიიჩნევა ცილისწამებად⁶, ისევე როგორც ორ პირს შორის არსებული პირადი მიმოწერა⁷. იმ შემთხვევაში, თუ განცხადების გავრცელების კრიტერიუმი არ იქნა გადალახული⁸, განცხადების შინაარსობრივ მხარეზე მსჯელობას მნიშვნელობა აღარ ექნება⁹.

1.2. განცხადების შინაარსის შემადგენლობა

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, აუცილებელი წინაპირობაა, რომ ცილისწამებისას დამტკიცდეს გავრცელებული ფაქტის არსებითად მცდარობა და ადრესატისთვის მიყენებული

2. *Rogal L.*, Anonymity in Social Media, *Arizona Summit Law Review*, Vol. 7:61, 2013, 64.

3. საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 24.03.2023, №ას-1498-2022.

4. კონტექსტის მნიშვნელობაზე იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 03.04.2012, №ას-1477-1489-2011.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 05.03.2021, №ას-810-2019.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 27.06.2023, №2ბ/754-23.

7. ამ საკითხზე იხ. *ჯორბენაძე ს.*, სოციალურ ქსელში განხორციელებული პირადი მიმოწერის გასაჯაროების თავისუფლების სამართლებრივი ფარგლები, *ლადო ჭანტურია* 55, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2018, 54 და შემდგომი.

8. მაგალითად, საჯაროდ გავრცელების კონტექსტში, რომელშიც მოიაზრება როგორც ე.წ. ტრადიციული მედიასშუალებები, ისე სოციალური მედიაც. აღნიშნულის თაობაზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 09.01.2014, №ას-1559-1462-2012.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 20.12.2022, №2/19427-20.



ზიანის არსებობა¹⁰. კერძოდ, საკმარისია განცხადება აზრად დაკვალიფიცირდეს, მოპასუხეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა¹¹. კანონით განსაზღვრული აბსოლუტური პრივილეგია, სწორედ აზრის გამოხატვის დაცვის გარანტს წარმოადგენს. თავისთავად, აზრის აბსოლუტურობა არ გულისხმობს სხვისი უფლებების შელახვას და ამ შემთხვევაშიც დაცული უნდა იყოს პირის უფლებები¹².

1.3. ადრესატის იდენტიფიცირება

ადრესატის იდენტიფიცირება ასევე ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს. მაგალითად, პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ გაკეთებული განცხადება არ ჩაითვლება ცილისწამებად¹³, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს ხისტი მიდგომის საჭიროებას საკითხისადმი. შესაძლებელია, რომ პირი იდენტიფიცირდეს კონტექსტიდან გამომდინარე, მაგალითად, ზედმეტსახელის შემთხვევაში. მართალია, ზედმეტსახელი უფლებრივად დაცვის მქონე ინსტიტუტს არ წარმოადგენს, მაგრამ საერთო სურათის ფონზე შეიძლება ამ გზით პირი იდენტიფიცირდეს. ვთქვათ, სოციალურ მედიაში შექმნილია ჯგუფი, რომელიც პირის მიმართ ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებს (ან ავრცელებს). ჯგუფის დასახელება შეიცავს პირის ზედმეტსახელს, რაც გარკვეული სოციუმისთვის ცნობილია. შესაბამისად, ამ სოციუმისთვის პიროვნება იდენტიფიცირებადია. ასეთ დროს, პირმა სასამართლოში რომ დაამტკიცოს ზედმეტსახელის მასთან კავშირი¹⁴, შეიძლება წარადგინოს სხვადასხვა ფაქტი ან მტკიცებულება: ფოტოები, რომელიც გავრცელებულია ჯგუფში (ცილისმწამებლური განცხადების კვალად), ასევე, „თაგი“, რომლითაც ცხადი ხდება, თუ ვისზეა საუბარი და სხვ¹⁵.

1.4. კონტექსტის მიმართება ფორმალურ საფუძველთან

თითოეული ზემოთ მოყვანილი შემთხვევა, საბოლოო ჯამში, კონტექსტუალური მნიშვნელობიდან გამომდინარე კვალიფიცირდება. აღნიშნული იკვეთება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, როგორც გავრცელების არეალის, ისე, შინაარსობრივი ასპექტის თვალსაზრისით¹⁶. ამ უკანასკნელის კონტექსტში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკით, ცალკეული განცხადება პირისთვის უსიამოვნო სიტყვებითაც რომ

10. საჯარო პირის შემთხვევაში დამატებით – განზრახვის/შესაბამისი ქმედების განხორციელების საკითხი.

11. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 06.04.2020, №ას-1366-2019.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 02.03.2023, №2/38600-22.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 17.12.2019, №2/6328-19.

14. რაც სარჩელის დასაშვებობისთვის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. იხ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, 30.11.2018, №2/34293-18.

15. იხ. *ჯორბენაძე ს.*, სოციალური მედიის სამართალი, თბილისი, 2019, 64.

16. იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „პერუცი იტალიის წინააღმდეგ“ (Peruzzi v. Italy, 30.06.2015, №39294/09).

იქნეს გადმოცემული, შეიძლება, არ დაექვემდებაროს შეზღუდვას¹⁷. ამ მიდგომას იზიარებს ქართული სასამართლო პრაქტიკაც¹⁸. შესაბამისად, შეიძლება, ცალკეული სიტყვები (ტერმინოლოგია) მოექცეს გამოხატვის თავისუფლების დაცულ სფეროში და არ დადგეს პირის პასუხისმგებლობა, თუნდაც მან უსიამოვნო, ხისტი ან აღმაშფოთებელი სიტყვები გამოიყენოს¹⁹. აღნიშნულის საპირისპიროდ, თუ განცხადება შეიცავს უსიამოვნო სიტყვებს, მაგრამ მიმართულია პიროვნების საქმიანი რეპუტაციის შელახვისკენ და არა განმცხადებლის პირადი განწყობისა და დამოკიდებულების გამოვლენისკენ, შეიძლება გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდოს²⁰. ამდენად, თითოეულ შემთხვევაში, თუ რამდენად არის დაცვის ღირსი პირი, მიუხედავად ამგვარი ტერმინოლოგიით საუბრისა, სწორედ კონტექსტის შესწავლის შედეგად უნდა განისაზღვროს.

2. კონტექსტის არსი და მისი შემადგენელი ასპექტები

საკანონმდებლო დონეზე ტერმინი „კონტექსტის“ მოწესრიგება არ გვხვდება, თუმცა ცილისწამების დავისას მისი არსის განსაზღვრა გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია. აღნიშნულის საუკეთესო გამოვლინებაა მოცემულობა, როდესაც სავსებით შესაძლებელია, მსგავსი შინაარსის მქონე განცხადებით (აქტივობით), ერთ შემთხვევაში, დაადგინოს სასამართლომ დარღვევა, ხოლო სხვა შემთხვევაში – არა²¹. თითოეული საკითხის განხილვისას სასამართლო სწორედ კონტექსტის ასპექტს წევს წინა პლანზე და მასზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას.

თავის მხრივ, კონტექსტი შესაძლებელია, სამ მთავარ ასპექტად განისაზღვროს: ა) სრული გარემოების გათვალისწინება; ბ) განცხადების შინაარსობრივი აღქმადობა და გ) ადრესატის ვინაობა.

2.1. სრული გარემოების გათვალისწინება

უფლების დარღვევის ასპექტი თუ არ იქნა დაკმაყოფილებული, განცხადება, თუნდაც შეიცავდეს სადავო გამონათქვამებს, ნეგატიური სამართლებრივი შედეგის მქონე არ იქნება მოპასუხისთვის. მაგალითად, ტერმინი, რომლითაც პირს ბრალს დებენ გარკვეული არაკანონიერი ქმედების ჩადენაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეხედულების წარმოსაჩენად. ვთქვათ, განცხადება, რომლითაც ნათ-

17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Lingens v. Austria, 08.07.1986, №9815/82).

18. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 30.03.2023, №ას-1373-2022.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 24.03.2023, №ას-1498-2022.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 30.03.2023, №ას-1373-2022.

21. საილუსტრაციოდ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე „ი.ა. თურქეთის წინააღმდეგ“ (I.A. v. Turkey, 13.12.2005, №42571/98); ასევე, გინიევსკი საფრანგეთის წინააღმდეგ (Giniewski v. France, 31.01.2006, №64016/00).

ქვამია, რომ კონკრეტული პირი (ადრესატი) არის მკვლელი, ნასამართლევი და სხვ., როგორც წესი, ექცევა ცილისწამების შემაღენლობაში, თუმცა არა ყოველ შემთხვევაში²²: შესაძლებელია, რომ პირმა საჯაროდ წარმოაჩინოს გარემოებები, ის მოცემულობა, თუ რაზე დაფუძნებითაც მიიჩნევს, რომ კონკრეტული პიროვნების ქმედების (უმოქმედობის) შედეგად დადგა ნეგატიური შედეგი, რომელიც დასკვნით ნაწილშიც ხაზს გაუსვამს, რომ ადრესატი წარმოადგენს მკვლელს²³. მიუხედავად, თუ საკითხი საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში ექცევა²⁴.

ამ მსჯელობის საწინააღმდეგო შემთხვევაა, როდესაც პირი იმგვარად წამებს ცილს ადრესატს, რომ ვერ ასაბუთებს რეალურ ფაქტებს და არც შეფასებისთვის იყენებს მას²⁵. მაგალითად, როდესაც კონკრეტული დანაშაულის ჩადენაზე უთითებს განცხადების გამავრცელებელი²⁶, ასეთ დროს, განცხადების შინაარსი კონკრეტულია, ტოვებს ობიექტური მოცემულობის აღქმას და მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია²⁷. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გათვალისწინებით, ასეთი ქმედება კონტექსტუალურად არ შეიძლება შეხედულებაში მოექცეს და იგი ცილისწამებად მიიჩნევა²⁸.

მოყვანილი მსჯელობის კვალად ასევე შეიძლება იმგვარი მაგალითის მოშველიება, როდესაც განცხადებაში აღნიშნულია სიტყვები: „ჩემი აზრით“, „სავარაუდო“ და ა.შ., მაგრამ განცხადება (ფორმის შესაბამისად) იმგვარადაა წარმოჩენილი, რომ იგი მისი გამავრცელებლის მხრიდან აშკარა ცილისმწამებლურ ნიშნებს შეიცავს. ასეთ დროს განცხადება არ შეიძლება აზრით დაცულ სფეროში (აბსოლუტური პრივილეგიის კუთხით) მოექცეს და დაექვემდებაროს შეზღუდვას.

2.2. განცხადების შინაარსობრივი აღქმადობა

უფლების დამრღვევი განცხადება თავის მხრივ ორ ასპექტს შეიცავს: ა) რამდენადაა იგი მესამე პირისთვის სათანადოდ აღქმადი და ბ) რამდენად მიმართულია ტექსტის ერთიანობა ცილისმწამებლური შინაარსის განცხადების გავრცელებასთან. მხოლოდ ამოგლეჯილი სიტყვებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაყენება სამართლებრივ ფარგლებში არ ექცევა²⁹. მაგალითად, ცილისმწამებლურად არ ჩაითვლება განცხადება, რომელიც მეგობრების ჯგუფში სახუმარო მიზნითაა გავრცელებული, ან როდესაც საზოგადოებისთვის ცნობილია პირთა მეგობრობის თაობაზე; ასევე, თუ პირი თავის მეგობარზე სოციალურ მედიაში პოსტავს შემ-

22. იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მ.ლ. და ვ.ვ. გერმანიის წინააღმდეგ“ (M.L. and W.W. v. Germany), 28.06.2018, №60798/10 და №65599/10.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 24.03.2023, №ას-1498-2022.

24. აღნიშნულ საკითხზე უფრო დეტალური მსჯელობა იხილეთ ადრესატის ვინაობის კონტექსტში.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 06.02.2023, №ას-549-2022.

26. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 02.03.2023, №2/38600-22.

27. შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 01.10.2014, №ას-179-172-2012.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 06.02.2023, №ას-549-2022.

29. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 06.04.2020, №ას-1366-2019.

დეგ წინადადებას³⁰: „შენ ხარ თაღლითი“ და მონიშნავს ადრესატს (მაშასადამე, თავის მეგობარს), აღნიშნული არ გახდება უპირობოდ ცილისწამების საფუძველი. ამ მაგალითიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება იმის გააზრება, თუ რა მიზნით დაწერა პირმა წინადადება (სტატუსი) და რა ურთიერთობა აკავშირებს ადრესატთან.

თავის მხრივ, ხუმრობის კონტექსტი ყოველთვის არ შეიძლება მოაზრებულ იქნეს უფლების დარღვევის არარსებობის წინაპირობად. იმავე ლოგიკით, „ხუმრობას ამოფარებული“ მოქმედების მიუხედავად, შეიძლება, პირს შეელახოს უფლებები და შესაბამისი მოთხოვნა დააყენოს სასამართლოში³¹.

2.3. ადრესატის ვინაობა

ადრესატის ვინაობა პირდაპირ კავშირშია ზემოთ მოყვანილ ორივე შემთხვევასთან. პირველ რიგში, ყურადღების გამახვილება შეიძლება შედარებით მარტივ ასპექტზე – კერძო და საჯარო პირის გამიჯვნაზე. ამ მხრივ, საილუსტრაციოდ გამოდგება საჯარო პირის შემთხვევა: საჯარო პირის თმენის ვალდებულების არსიდან გამომდინარე, ასეთ დროს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხიც წამოიწევს წინა პლანზე^{32/33}. განსაკუთრებით, თუ საჯარო პირი პოლიტიკურ თანამდებობას იკავებს. მეტიც, საჯარო პირის შემთხვევაში, კვალიფიციური პრივილეგიის ჭრილში უნდა განიხილოს საკითხი სასამართლომ. შესაბამისად, კონტექსტს ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა, პირველ რიგში, პირის სტატუსიდან გამომდინარე ენიჭება.

შედარებით მრავალწახნაგოვანია საკითხი, რომელიც ეხება სხვადასხვა სტატუსის მქონე ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, მაგალითად, ჟურნალისტს (მედიას), არასამთავრობო ორგანიზაციას³⁴, აკადემიური სფეროს წარმომადგენელს და სხვ. ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა ამ მხრივ მიიჩნევს, რომ ერთსა და იმავე შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ჟურნალისტის უფლებები (გამოხატვის თავისუფლების ჭრილში) დაირღვეს, თუმცა არა – აკადემიური აქტივობის მქონე პირის³⁵. შესაბამისად, ჟურნალისტის მიმართ იმავე სტანდარტის დაწესება,

30. მეტი სიცხადისთვის უპირანია, თუ ზემოთ მოყვანილი მაგალითის კვალად გაგრძელდება მსჯელობა და დანაშაულებრივ ტერმინოლოგიაზე გამახვილდება ყურადღება.

31. უპირატესად, არაქონებრივი უფლებების შელახვის გათვალისწინებით.

32. იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მაგიარ კეტფარკუ კუტია პართი უნგრეთის წინააღმდეგ“ (Magyar Kétfarkú Kutya Párt v. Hungary), 20.01.2022, №201/17.

33. საზოგადოებრივი ინტერესი შესაძლებელია, რომ კერძო პირის შემთხვევაშიც თამაშობდეს მნიშვნელოვან როლს, თუმცა, პრაქტიკაში გავრცელებულ შემთხვევათა უმეტესობა სწორედ საჯარო პირს ეხება.

34. იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ენიმალ დიფენდერს ინთერნეიშენალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Animal Defenders International v. the United Kingdom, 22.04.2013, №48876/08).

35. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „აკდენიზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“ (Akdeniz and Others v. Turkey, 04.05.2021, №41139/15, №41146/15).

რაც სხვა (იმავე აკადემიური აქტივობის მქონე) პირის მიმართაა გამოყენებული, არ იქნება მართებული³⁶. კერძოდ, სასამართლო პრაქტიკაში ე.წ. „მოდარაჯე ძაღლის“³⁷ სტატუსს გამოხატვის თავისუფლების ნაწილში დიდი მნიშვნელობა ენიჭება და, შესაბამისად, სტანდარტსაც განსხვავებულად წარმოაჩენს³⁸. მასში, უპირველეს ყოვლისა მედიაა მოაზრებული³⁹. ეს კი ნიშნავს იმას, რომ რა შეზღუდვაც შეიძლება გავრცელდეს ცალკეულ ფიზიკურ პირზე, არ შეიძლება ავტომატურად გავრცელდეს მედიასაშუალებაზე⁴⁰. ზემოაღნიშნული კი, თავის მხრივ, კონტექსტის მნიშვნელობას ნათლად წარმოაჩენს.

3. ე.წ. „სამწვეროვანი ტესტის“ არსებობის აუცილებლობა

მოყვანილი მსჯელობის საუკეთესო მაგალითი ე.წ. „სამწვეროვანი ტესტი“ და მასზე დაფუძნებით საკითხის გადაწყვეტაა. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რამდენად გვხვდება კანონით განსაზღვრული ჩარევის დასაშვებობა⁴¹. მეორე ეტაპი ლეგიტიმური მიზნის არსებობაა, რაც იმავე ღირსების უფლების დაცვაშიც შეიძლება გამოიხატოს⁴². ბოლოს კი, პროპორციულობის ასპექტი, რომელიც შეზღუდვის აუცილებლობისა და გამოყენებული საშუალების მისაღწევ მიზანთან თანაფარდობას გულისხმობს⁴³. უფლებაში ჩარევის ფორმა⁴⁴ იმგვარად უნდა იქნეს გამოყენებული, რომ ამით ზიანი არ მიადგეს კონსტიტუციურ პრინციპებს⁴⁵. თითოეული დასახელებული პირობის შემთხვევაში საკითხის გადაჭრა კონტექსტს უნდა დაეფუძნოს და ამ გზით

36. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ჰერტელი შვეიცარიის წინააღმდეგ“ (Hertel v. Switzerland, 25.08.1998, №59/1997/843/1049), რაც ჟურნალისტის შემთხვევაში მეტ საფუძველს საჭიროებს

37. ინგლისურად: „Watchdog“.

38. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 05.07.2019, №ას-847-791-2017.

39. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „შტოლი“ შვეიცარიის წინააღმდეგ (Stoll v. Switzerland, 25.04.2006, №69698/01).

40. ცალკეულ შემთხვევებში, მედიასაშუალებასთან გათანაბრებული არასამთავრობო სექტორი, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებაში დიდ მნიშვნელობას თამაშობს. იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მაგიარ“ ჰელსინკი ბიზოთსაგ უნგრეთის წინააღმდეგ (Magyar Helsinki Bizottság v. Hungary, 08.11.2016, №18030/11).

41. უპირატესად, პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლების ნაწილში, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე დაფუძნებით.

42. ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის უფლებების შეზღუდვის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს საინტერესოდ აქვს განვითარებული მსჯელობა. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

43. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 30.09.2015, №ას-1052-1007-2014.

44. ცილისწამების დავისას: უარყოფა, ასევე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

45. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული. მაგალითად, არაქონებრივ უფლებებს რამდენად ლახავს განცხადება, რომელიც მეგობრის ხუმრობას წარმოადგენს; ან შეზღუდვის საფუძველი რამდენადაა განცხადება, რომელიც უსიამოვნო, მაგრამ საზოგადოებრივი ინტერესის ფარგლებში მოქცეულ საკითხზე აკეთებს აქცენტს და სხვ.

4. კავშირი გამოხატვის თავისუფლების საჯაროსამართლებრივ მოწესრიგებასთან

ის, რომ კონტექსტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამოხატვის თავისუფლების დავებზე, საჯაროსამართლებრივი ურთიერთობიდანაც იკვეთება. მაგალითად, მაუწყებელზე ნებისმიერი ვიდეორგოლის განთავსება, რომელშიც პოლიტიკოსი (მათ შორის, ყოფილი თანამდებობის პირი) არის ნაჩვენები, არ წარმოადგენს წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამას⁴⁶, რაც განსხვავდება იმ მოცემულობისგან, როდესაც ვიდეორგოლში მოქმედი თანამდებობის პირები არიან წარმოჩენილნი⁴⁷. თითოეულ შემთხვევაში კონტექსტის განმარტება განსაზღვრავს სამართლებრივ შედეგს⁴⁸.

აღნიშნულის მსგავსად შეიძლება პარალელის გავლება არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ნაწილში. საილუსტრაციო მაგალითი: „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის მიხედვით, 23 საათამდე არ უნდა იქნეს განთავსებული მასალა, რომელიც 15 წლამდე ასაკის ადამიანისთვის შეუსაბამოა. თავის მხრივ, ამავე კანონის 56² მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დასახელებულ მასალას მიეკუთვნება: „*შეურაცხყოფელი ლექსიკა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კონტექსტით გამართლებულია*“. როგორც ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან იკვეთება, კონტექსტს ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულ საკითხზე საინტერესო პრაქტიკა განავითარა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომელმაც ერთ-ერთი გადაცემის სიუჟეტში, მსახიობის მიერ შეურაცხყოფელი ლექსიკით მაყურებლისთვის მიმართვა, არ დაადგინა კანონის დარღვევად⁴⁹. კერძოდ, კომისიამ განმარტა, რომ ვინაიდან პერსონაჟისთვის (რომელსაც მსახიობი ასახიერებს) დამახასიათებელია სპეციფიკური ლექსიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენება (რომელიც მოიცავდა შეურაცხყოფელ ლექსიკასაც), დარღვევა არ იკვეთებოდა.

46. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება, 29.10.2021, №4/6707-21.

47. იხ. მაგალითად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება, 23.08.2023, №გ-22-03/2096.

48. იგი შეიძლება მტკიცებულებათა ერთობლიობისა და საერთო სურათის შეჯერების საფუძველზე იქნეს მიღებული.

49. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება, 29.04.2021, №გ-21-16/268.

ბოლოთქმა

კონტექსტი წარმოადგენს სადავო განცხადების ცილისწამებად კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს. ასეთ დროს მოწმდება ზოგადი წინაპირობები, თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით გაკეთდა განცხადება⁵⁰ და რა პათოსი იყო გაზიარებული განცხადებაში⁵¹.

კონტექსტის მნიშვნელობა დამოკიდებულია როგორც განცხადების შინაარსზე, ისე მისი გავრცელების არეალზე. თუნდაც განცხადება უარყოფითი და არასასურველი სიტყვებით იყოს გავრცელებული, პირველ რიგში, სწორედ კონტექსტზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, მაგალითად, საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევა, როდესაც გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მაღალი დაცვის სტანდარტით ხასიათდება⁵². თითოეულ შემთხვევაში კი სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სამი მთავარი მოცემულობა: ა) სრული გარემოება – თუ რას ეფუძნება განცხადება და რაზე დაყრდნობითაა იგი გაკეთებული; ბ) როგორ აღიქმება განცხადება პირთა შესაბამისი (ან განუსაზღვრელი) წრის მხრიდან და გ) ვინ არის განცხადების ადრესატი და რა სტატუსი გააჩნია მას. დასახელებულ კრიტერიუმთა გათვალისწინებით, სასამართლომ შეიძლება, მსგავს საქმეებზე განსხვავებული გადაწყვეტილება გამოიტანოს და სწორედ კონტექსტის საფუძველით განმარტოს მისი ამგვარი ქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

სამეცნიერო ნაშრომები

1. ჯორბენაძე სერგი, სოციალურ ქსელში განხორციელებული პირადი მიმოწერის გასაჯაროების თავისუფლების სამართლებრივი ფარგლები, ლადო ჭანტურია 55, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2018.
2. ჯორბენაძე სერგი, სოციალური მედიის სამართალი, თბილისი, 2019.
3. *Rogal Laura*, Anonymity in Social Media, *Arizona Summit Law Review*, Vol. 7:61, 2013.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გა-

50. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (*Lingens v. Austria*, 08.07.1986, №9815/82).

51. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 06.04.2020, №ას-1366-2019.

52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 06.04.2020, №ას-1366-2019.

დაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 03.04.2012, №ას-1477-1489-2011.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 09.01.2014, №ას-1559-1462-2012.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 01.10.2014, №ას-179-172-2012.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 30.09.2015, №ას-1052-1007-2014.
10. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, 30.11.2018, №2/34293-18.
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 05.07.2019, №ას-847-791-2017.
12. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 17.12.2019, №2/6328-19.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 06.04.2020, №ას-1366-2019.
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 05.03.2021, №ას-810-2019.
15. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება, 29.10.2021, №4/6707-21.
16. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 20.12.2022, №2/19427-20.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 06.02.2023, №ას-549-2022.
18. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 02.03.2023, №2/38600-22.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 24.03.2023, №ას-1498-2022.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, 30.03.2023, №ას-1373-2022.
21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 27.06.2023, №2ბ/754-23.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

22. ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (*Lingens v. Austria*, 08.07.1986, №9815/82).
23. ჰერტელიშვეიცარიის წინააღმდეგ (*Hertel v. Switzerland*, 25.08.1998, №59/1997/843/1049);
24. ბლადეტ ტრომსო და სტენსაასი ნორვეგიის წინააღმდეგ (*Bladet Tromsø and Stensaas v. Norway*, 20.05.1999, №21980/93).
25. ი. ა. თურქეთის წინააღმდეგ (*I.A. v. Turkey*, 13.12.2005, №42571/98).
26. გინიევსკი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Giniewski v. France*, 31.01.2006, №64016/00).
27. შტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Stoll v. Switzerland*, 25.04.2006, №69698/01).
28. ენიმალ დიფენდერს ინთერნეიშენალ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Animal Defenders International v. the United Kingdom*, 22.04.2013, №48876/08).
29. პერუჯი იტალიის წინააღმდეგ (*Peruzzi v. Italy*, 30.06.2015, №39294/09).
30. პენტტიკაინენი ფინეთის წინააღმდეგ (*Pentikäinen v. Finland*, 20.10.2015, №11882/10).



31. მ. ლ. და ვ. ვ. გერმანიის წინააღმდეგ (M.L. and W.W. v. Germany), 28.06.2018, №60798/10 და №65599/10.
32. აკდენიზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Akdeniz and Others v. Turkey, 04.05.2021, №41139/15, №41146/15).
33. მაგიარ კეტფარკუ კუტია პართი უნგრეთის წინააღმდეგ (Magyar Kétfarkú Kutya Párt v. Hungary), 20.01.2022, №201/17.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკა

34. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება, 29.04.2021, №გ-21-16/268.
35. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება, 23.08.2023, №გ-22-03/2096.